

## პლაგიატი

### ➤ აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები უნივერსიტეტში

აკადემიური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა:

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამეორება შესაბამისი მითითების გარეშე); სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

ე) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

ვ) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე; სხვის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრის ასლის შესრულება/გადატანა საავტორო უფლებების დაცვის, ავტორის მითითებისა და ნებართვის გარეშე;

ზ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, შემოქმედებითი ნამუშევარი/პროექტი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.

**პლაგიატის, აკადემიური ეთიკის/კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიები**  
პლაგიატის სახეები, მათი სიმძიმის თვალსაზრისით, შესაძლებელია შეფასდეს დარღვევის შემდეგ კატეგორიებად:

ა) მსუბუქი სიმძიმის (ნაკლები) დარღვევა;

ბ) საშუალო სიმძიმის (მნიშვნელოვანიწილი) დარღვევა;

გ) მძიმე ( უხეში) დარღვევა.

✓ ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელი სტუდენტს უხსნის წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/გამოსახულებების/სხვ.

გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესებს, განუმარტავს აკადემიური ეთიკის არსს, შესრულების მნიშვნელობას და მათი დარღვევისათვის დაწესებულ სანქციებს;

- ✓ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ნაშრომის ავტორის წერილობითი დადასტურება ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, კერძოდ, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ, წარმოადგენს მის ორიგინალურ ნამუშევარს და არ გამოუყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა.

### ➤ პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

- სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია შეამოწმოს ნაწერი სილაბუსით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურასთან და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომი გადაამოწმოს შემდეგი მიმართულებებით:
  - ✓ ნაშრომის სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარება ნაშრომის თავებთან/პარაგრაფებთან/აბზაცებთან;
  - ✓ თემასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად ლიტერატურასთან, რომელიც არ არის მითითებული სქოლიოში.
- ბხსუ-ში საბაკალავრო, სამაგისტრო, საკონფერენციო, პროექტი ან სხვა ფორმის სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის მექანიზმს წარმოადგენს ანტიპლაგიატის პროგრამა.
- ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას ექვემდებარება: თეორიული მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები; პროექტი/რეფერატი/თემატური ტური, საშემსრულებლო საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა ტიპის ნაშრომთა თეორიული კომპონენტები ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, პროექტის ანტიპლაგიატის პროგრამაში სისტემაში ატვირთვა განხორციელდეს არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა ანტიპლაგიატის პროგრამის მოთხოვნების დადგენილი ფაილის ფორმატის, შრიფტის („Sylfaen”) გათვალისწინებით.
- საბაკალავრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხის მსგავსების პლაგიატის გამოვლენის (35%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 65%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი

ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს ანტიპლაგიატის პროგრამაში არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 65%-ზე მეტი თანხვედრის ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 35%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება „0“ ქულით (F – ჩაიჭრა).

- სამაგისტრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (25%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 55%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს ანტიპლაგიატის პროგრამაში არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 55%-ზე მეტი თანხვედრის ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 25%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი შეფასდება, როგორც „არაადამაკმაყოფილებელი“ (insufficient).

#### ➤ პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

- სასწავლო პროცესში სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული) უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
- სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს ფაკულტეტის დეკანს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით. რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ამის შესახებ უნდა მიეთითოს რეცენზენტის დასკვნაში და წარედგინოს დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის.
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ უნდა გატარდეს ბხსუ-ში პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ზომები.

#### ➤ სანქციები პლაგიატის გამოვლინებებზე

დარღვევის კატეგორიის განსაზღვრის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები (სანქციები):

### **ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:**

უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევს განემარტება დარღვევის არსი, მიეთითება დარღვევის გამოსწორების შესახებ და განესაზღვრება ვადა გამოსწორებისათვის. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გასწორებული, რედაქტირებული ნაშრომის არწარმოდგენის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება „0 ქულით“.

**საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში** უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავედროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - შენიშვნა ან გაფრთხილება.

**მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში** უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავედროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - მხოლოდ ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით.